## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 85

ქ. თბილისი 27 ივლისი 2016 წ.

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში –შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ ი.მ თენგიზ თევზაძე (შემდგომში - მიმწოდებელი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურისათვის ჭანჭიკის ელექტრო დამჭერის /44511000-CPV/ შესყიდვა.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ღირებულებას, მის გადაცემასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს ჩათვლით.
2.3. დაფინანსების წყარო – 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

### 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

მიმწოდებელი ვალდებულია:
3.1. 2016 წლის 03 აგვისტომდე უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთი ცალი ახალი, ჭანჭიკის ელექტრო დამჭერის (BVCD 18LI (18ვ) ვეგა) გადაცემა.

შემსყიდველი ვალდებულია:
3.2. შეამოწმოს გადაცემული საქონლის ხარისხი და დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში მოსთხოვოს მიმწოდებელს მისი ახლით შეცვლა, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
3.3. პრეტენზიების არ არსებობის შემთხვევაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ღირებულება ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

### 4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

### 5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან და მოსთხოვოს მას ჯარიმის გადახდა ან/და გამოუქვითოს გადასახდელი თანხიდან.
5.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0.02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

### 6. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის გადაცემის შემდეგ მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.
6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – მზია ადუაშვილი და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - ივანე აფციაური.

## 7. გარანტია

7.1 მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა არის ერთი წელი.

7.2 თუ აღნიშნულ ვადაში დაზიანდება მიწოდებული საქონელი, რომელიც არ იქნება გამოწვეული გარე მექანიკური ზემოქმედებისაგან ან მისი არასწორი ექსპლუატაციისაგან, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი შეკეთება ან/და საქონლის ახლით შეცვლა შემსყიდველის მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

8.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

9.3.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.

9.6 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.8.ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. ინსპექტირების პირობები

10.1. ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური.

10.2. მიწოდებული საქონლის ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

## 11. დავის გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 27 ივლისიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34,

ს/კოდი: 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22

მიმწოდებელი:

ი.მ თენგიზ თევზაძე
იურიდ.მის: თბილისი ნაძალადევის რაიონი, თემქა, მესამე მკ/რაიონი, მე-3 კვარტალი, კორპ.45. ბინა 43.
ს/კოდი: 17001001725
ა/ა GE32PC0223600100010576
ს/ს პროკრედიტ ბანკი
ბ/კოდი MIBGGE22

## 14. მხარეთა ხელმოწერები

ბესიკ წიკლაური

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ეკატერინე აფციაური

საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი

თენგიზ თევზაძე

ინდ. მეწარმე